№ 123 29 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1875 29 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 123

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი
წელიწადში 8— მან., და ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

## 1876 წლის ხელის-მოწერა

მომავალს 1876 წელს გაზეთი

## „დროება"

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც ამ 1875 წელს გამოდის.

რედაქცია ეცდება მხოლოთ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

**ხელის-მოწერა** მიიღება **ტ ფ ი ლ ი ს შ ი**—„დროების" რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Д р о э б а"* ამ მოკლე ხანში გამოვაცხადებთ, სხვა ქალაქებში ვისთან შეიძლება გაზეთზე ხელის-მოწერა.

| **გაზეთის ფასი**—გაგზავნით და გაუგზავნელად | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წელიწადში . . . . . . . . . . . . . . . . . | 8 — | „ |
| ნახევარ წელიწადში . . . . . . . . . . . . . | 4 და | 50 |
| სამის თვისა. . . . . . . . . . . . . . . . | 2 და | 50 |
| ერთის თვისა . . . . . . . . . . . . . . . . | 1 — | „ |

**აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ მომავალი წლიდამ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება, გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების" აგენტები იკისრებენ.**

ვთხოვთ ჩვენ ხომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ალაგი გარკვევით იყოს დაწერილი.

# საქართველო

### ჩვენი მეცნიერები

—

ოდესსიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ერთი ჩვენებური ახალგაზდა მეცნიერი—უფ. ვასილ პეტრიაშვილი უნივერსიტეტის დოცენტათ (პროფესსორის თანაშემწეთ) ამოურჩევიათ.

ეს მეორე ქართველია, რომელიც წმინდა მეცნიერებას შესდგომია და პროფესსორის კათედრას ეძიებს; პირველი უ. ი. თარხნიშვილია, რომელიც, თუ არ ვსცდებით, ფიზიოლოგიის პროფესსორის თანაშემწეა პეტერბურღის საექიმო აკადემიაში. ერთიც ქართველი პროფესსორი არის უფ. ა. ცაგარელი, რომელიც პეტერბურღის უნივერსიტეტში ქართული ენის ლექციებს ჰკითხულობს.

ამათ გარდა, ჩვენ ვიცით სხვა ახალგაზდებიც, რომელნიც მეცნიერებას გაუტაცებია, რომელნიც სხვა და სხვა ისეთს სპეციალურ საგნებს სწავლობენ, რომელსაც პირ-და-პირ ჩვენი ქვეყნისთვის თითქმის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა ამ ჟამად არა აქვთ.

ჩვენის ჰაზრით, ისეთი დროა ახლა ჩვენში და ისეთს მდგომარეობაში ვართ, როდესაც წმინდა მეცნიერების შესწავლას თითქმის სრულიად არ უნდა ჰქონდეს ალაგი. ყოველი ნასწავლი ქართველი ზნეობითად და სხვა ყოველის მხრით ვალდებულია, რომ ხალხის ოფლისა და მეოხებით შეძენილი სწავლა და განათლება ისევ ხალხს მოახმაროს.

რასაკვირველია, ყოველ კაცს შეუძლიან იმ საქმეს მოჰკიდოს ხელი და ისეთი მიზანი აირჩიოს თავის ცხოვრებისა, რომელიც იმის ხასიათს უფრო შეეფერება, რომელიც იმისთვის უფრო სასიამოვნოა და ან ჰგონია, რომ მომეტებულ სარგებლობას მოიტანს.

მაგრამ ამ მოსაზრების წინაამდეგ ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მამულის ყოველ ნამდვილ შვილს ყველაზე პირველად თავის სასიამოვნო და სასარგებლო შრომად მხოლოთ ის უნდა მიაჩნდეს, რაც ამ მამულისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. პერძოობითი მიდრეკილება, საკუთარი, პიროვნული სიამოვნება იმან ხშირად უნდა დაივიწყოს, თუ ეს საზოგადო სამშობლოს სარგებლობასთან არ თავსდება.

შესაძლოა აგრეთვე ისიც, რომ თუ კაცი გრძნობს, რომ, მეცნიერების საშუალებით, იმას მთელი კაცობრიობისთვის შეუძლიან სარგებლობის მოტანა, მაშინ ვერავინ გაამტყუვნებს, რომ იმან თავის თავი და შრომა ამ მეცნიერებას შესწიროს.

მაგრამ წინათვე ამის თქმა ვის შეუძლიან? და კიდეც რომ შეეძლოს, ამასთანა გენიოსები ხომ სოკოებივით არ იბადება, არამედ საუკუნოების განმავალობაში თითო-ოროლა ელირსება ხოლმე კაცობრიობას!

დანარჩენი, უბრალო მამაკვდავებისათვის შეურყეველად რჩება ის კანონი, რომ ყოველი ადამიანი და განსაკუთრებით გონება-გახსნილი, განათლებული კაცი თავის საკუთარ სამშობლოში, თავის ხალხში უნდა მუშაობდეს, უნდა მოქმედებდეს.

თუ ყველა, ვინც ცოტათი წრიდამ გამოვა, ვინც თავის თავს ვსთქვათ პეტერბურღში ან პარიჟში გამოსადეგ კაცად იცნობს, თუ ყველა ამისთანაები განზე გადგა და ამ უიმათოთაც ნამდვილ კაცებით მდიდარს ქალაქებში გარდაიხვეწა,—ვინღა უნდა დარჩეს მაშ ჩვენს ქვეყანას, რომელსაც კაცური, თავიანი და საზოგადო საქმეების თანამგრძნობი კაცები ასე ეჭირვება?!

ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველი კაცი იქ უნდა ცხოვრებდეს, იქ უნდა მოქმედებდეს და მუშაობდეს, სადაც იმის მუშაობა უფრო სასარგებლო, უფრო ნაყოფიერი იქნება, და რადგანაც ყოველი კაცის მუშაობა იქ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლოა, სადაც ის დაბადებულა, სადაც ის ყველა გარემოებას იცნობს, ამის გამო ყველა თავის სამშობლოში უნდა მუშაობდეს.

ღმერთო ჩემო, ჩვენ ასე გვეჭირება ახლა კაცები, ამდენი საზოგადო და კერძო საქმეები გვაქვს, ასეთი ჩივილი ისმის ყოველი მხრიდამ, რომ კაცები არა გვყავსო, რასმე ხელი მოჰკიდონო,—და ჩვენი ახალგაზდები კი რომ სხვა და სხვა მეცნიერებას აკვდებოდნენ მხოლოთ იმისთვის, რომ ერთი ბეწვის ოდენა რამ გააკეთონ ამ მეცნიერებაში,—ეს უბედურება არ არის?!

ს. მესხი

### დღიური

—

ჩვენმა ქალაქის გამგეობამ გასულ 23 ღვინობისთვეს სხდომაში გადაწყვიტა, რომ ქალაქის სახელობით იჩივლონ თამამშოვებზე და ამნაირად სასამართლოს ძალით გააკეთებინონ იმათ თეატრი ისევ ძველ შენობაში—ქარვასლაში.

***

ამბობენ, რომ აქაური სემინარიის მთავრობას ბრძანება მოსვლია, რომ ამ სემინარიის შეგირდებისათვის, რომელთაგან მომეტებული ნაწილი ქართველები არიან და ერთ დროს საქართველოს სოფლების მღვდლებად უნდა დაინიშნონ, ქართული ენის სწავლა ვალდებულებითი არ უნდა იყოსო...

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ რაჭის ორს სოფლის საზოგადოებას—ხვანჭკარისას და სადმელისას—სასოფლო ბანკის გამართვა გადაუწყვეტიათ. პირველი სოფლის განჩინებაზე 284 გლეხსა აქვს ხელი მოწერილი. საქმის დაწყება ამ ჟამად მხოლოდ წესდების დამტკიცებაზეა დამოკიდებული.

***

ძალიან გვაკვირვებს ჩვენ ის გარემოება, რომ თუმცა უკანასკნელს სხდომაზე ჩვენი სამეურნეო საზოგადოების თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ამ ზამთარში ყოველ სამშაბათობით იქნება სხვა და სხვა სამეურნეო საგნებზე საუბარიო, მაგრამ მას აქეთ ეს ორი კვირა გადის და სხდომა კი არცერთჯერ არ ყოფილა დანიშნული. მით უფრო საჭირო იყო ამ ჟამად სხდომები, რომ საზოგადოებას ლოჭინის შკოლის თაობაზე უნდა მოელაპარაკნა.

***

დიდი მოძრაობაა ამ ჟამად ჩვენს რკინის გზაზე: ლეკები და საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის მაჰმადიანები მაქაში მიდიან სალოცავად ასობით და ხან ათასობით.

***

თიონეთიდამ იწერებიან, რომ ამ თვის 16-ს იქ საქალებო შკოლა გაუხსნიათ. ამას გარდა, ზოგიერთი პირების თაოსნობით, იქ მომხმარებელი საზოგადოება სდგებაო, რომლის წესდების პროექტი უკვე მთავრობასთან წარუდგენიათ დასამტკიცებელათაო.

***

კავკასიის სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოსცა მესამე ტომი „კავკასიაზე ცნობების კრებულისა", რომელშიაც შემდეგი სტატიებია: 1) აბინის მინდორი, სტატისტიკური მიმოხილვა მცხოვრებლებისა—ფ. ფ. ლანდისა,—2) მიმოხილვა კავკასიის ღვინის კეთებისა (კარტით)—და 3) ტფილის—ჯულფის ტრანზიტის გზა (სურათით) მ. ნ. ბარსევანოვისა.

—

მთავარ სამმართველო სამხედრო დაჭრილებისა და ავათმყოფების მზრუნველი საზოგადოებისა სთხოვს სამაზრო და ადგილობრივ საზოგადოებათ, რომ დაიწყონ ხელის-მოწერით ფულების მოგროვება ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყების მსხვერპლთა სასარგებლოთ.

კავკასიის სამხრო მმართველობა მიმართავს კავკასიის მცხოვრებლებს და სთხოვს, შეძლებისა დაგვარად, შემწეობა აღმოუჩინონ ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყებულთა.

შესაწირავი მიიღება ტფილისში კავკასიის სამხრო მმართველობის ხაზინადართან და სხვა ქალაქებში კი ამ საზოგადოების სამმართველოებში: სტავროპოლში, ვლადიკავკაზში, თემირ-ხან-შურაში, სოხუმში და ერივანში.

## „დროების“ კორრესპონდენცია

### წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! თუმცა თქვენს პატივცემულს გაზეთს ჩვენი მამასახლისების ამბები ძალიან ხშირად მოსდის თითქმის ყოველი მხრიდამ, თუმცა იმათგან ხალხის შევიწროება არა-ერთხელ მოგხსენებიათ, და ამისათვის ეს ჩემი წერილი იმდენათ საყურადღებო არ იქნება თქვენთვის, მაგრამ მე მაინც არ შემიძლიან არ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა შესახებ ჩვენი მამასახლისისა, რადგან ეს ჩვენი მამასახლისი სხვა მამასახლისებს სრულებით არა ჰგავს.

თუ რითიმე კი შეიძლება ხალხის შევიწროება, შეწუხება და ალიაქოთის ატეხა, ჩვენი ბიჭია სხვებსავით ყველაფერში დახელოვნებულია. სხვა საქმეებში აგრეთვე სხვებსავით ძალიან ზარმაცია.

ერთი წელიწადი არ იქნება, რაც ის ჩვენს „უფროსად“ (?) გახდა და რაები არ შემოიღო ამ ცოტა ხანში! ასე გასინჯეთ, საროსკიპოც კი გაიმართა მის ხელში. „აბრუნდი“ და „ჩაბრუნდი“ ხომ მის ხელათ არის! ერთი ყურ-გახვრეტილი კაპეიკიანი რომ მისცეს კაცმა, იმის საქმეს ათასნაირათ გადაატრიალ-გადმოატრიალებს.

მაგრამ ეს ხომ საზოგადო სენია.

ჩვენმა ბიჭიამ დააყენა სასამართლოზედ სახალხო პოეტები, რომლებიც თხზავენ ლექსებს და უცხოთ ამკობენ ჩვენს სოფლელებს. ერთი ქალი და კაცი არ დარჩენილა, არც მღვდელი და არც ერი, რომ თითო-ორ-ორა ლექსი არ დაწერილიყოს იმათზედ! ეს პოეტები არიან: ერთი მწერალი და მეორე კანცელარიის გზირი. ცენზორი კი თვითონ მამასახლისი ბრძანდება, რომელიც მოისმენს ამ შესხმას და თუ მოეწონა, ნებას დართავს, რომ წაიღონ და ეზოში დაუგდონ, ვისაც შეეხება, დაბეჭდილ ქაღალდით; თუ არ მოეწონა, პოეტს უბრძანებს რამოდენიმე პირს წაუკითხოს და მერმე დამალოს. ამნაირათ ყოველ ცისმარია დღეს ილანძღება ხალხი. რაც კანცელარიაში ქაღალდი და ლაქა არის, სულ ამაებზე იხარჯება.

ამ ამბავმა ხალხი ისე აალელვა, რომ მთელი სამამასახლისო ძრიელ უკმაყოფილოთ არის.

სხვათა შორის, ამ ცოტა ხანში გზირმა-პოეტმა უგინა ერთ გლეხს გასათხოვარი ქალი და მერე თვითონაც. ამ გლეხს გამოუჩნდა მოსარჩლე ბიძაშვილი, რომელმაც კარგა ლაზათიანათ მიგვიტყეპა ჩვენი პოეტი. პოეტმა ეს იუკადრისა, შეურაცხყოფათ მიიღო და იჩივლა მამასახლისთან. გალანძღულმა პირმაც შეიტანა საჩივარი, რომელშიაც, სხვათა შორის, გაცხარებულად ამბობდა: „თუ გადაწყვეტთ, რიგიანათ გარდაწყვიტეთ ეს საქმე; თუ არა, და ჩემი ქაღალდი უკანვე დამიბრუნეთ, რომ მომრიგებელ სასამართლოში ვიჩივლო; ან მე უნდა გადამასახლონ აქედამ, ან ეს მასხრები მოგვაშორონ, თორემ მეტი აღარ შეგვიძლიაო!“

რადგანაც ეს საქმე თვითონ მამასახლისის ბრალი იყო, ამისათვის იმან ჩააბარა საჩივარის განრჩევა მოსამართლეებს და კეთილსინდისიანებს. ამათ განიხილეს საქმე და გარდაწყვიტეს: გამლახველს გარდახდეს სამი მანეთი ჯარიმა (ეს ფულები შეირიცხებოდა ამისთანა ლექსების საწერი ქაღალდებისთვის) და პოეტს —ერთი თვე ნაობახტი!

თუ მამასახლისმა ისევ თავისი დაიწყო და არ დაიშალა ამისთანა მასხრობა და ხალხის შევიწროება, საზოგადოება ისე აშფოთებულია, რომ არ ვიცი რას იზამს!

პ. ქანდელაკი

საჯავახო, 25 ღვინობისთვე

---

ხონი, ღვინობისთვის 18-ს

ჩვენი ცხოვრება ჩვეულებრივათ მიმდინარეობს: ვსვამთ, ვჭამთ, გვძინავს და ამაზე უმჯობესი ცხოვრება ხონელ კაცს ძილშიაც არ მოეჩვენება. ამისათვის, თქვენც მიხვდებით, რომ მაინცა და მაინც ახალი ამბავი არაფელი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის და როგორც არის, ცოტაოდენი ყურადღების ღირსი ისიც იქნება.

ჩვენი ტკბილი, უდარდელი ცხოვრება ერთმა სენმა ააშფოთა ამ ზაფხულში—მუცელამ. მთელი ხუთი თვე აპრილიდამ დაწყებული, გადაგვეკიდა ეს დალოცვილი ჟინიან არშიყსავით და ვერაფრით ვერ მოვიშორეთ. ბოლოს, მოელო ბოლო თქვენს მტერს, იმას ჩვენ ბოლო მოუღეთ: ვითხოვეთ დოქტორი ქუთაისიდამ, ჩამოვიყვანეთ და ახლა ათი მოსახლისას თუ მოიძევა კიდევ ეს სენი, თორემ სხვაგან თქვენი ჭირი წაიღო,—გადავრჩით. მაგრამ იეფად კი ვერ დაგვიჯდა ამ სენისაგან განთავისუფლება. ეს დოქტორი.... უკაცრავათ, მუცელას რა ბრალია? ჰგავს ხელის გულზე ჰქონია დაწერილი ეს ბედი!

მაგრამ თავი დავანებოთ მუცელას და გადავიდეთ ჩვენს ადვოკატებზე, მით უფრო რომ ჩემდა უნებურად ამოყვეს თავი ამ წერილში!

იცით რა ქმნილებაა, ანუ უკეთა ვსთქვათ — იყო ჩვენებური ადვოკატი? თუმცა რამე ცხოველს მიემსგავსება ის ეხლა, უსათუოთ სოროდამ გამოგდებულ მელას.

ბევრმ უფრო კარგი მიზნით შეცულმა ყმაწვილებ ვერ გაიგეს, რომ შეერთებული შრომა ყოველთვის ჰსჯობია გაცალკევებულ შრომას; მაგრამ — გასაკვირველია, რომ ხონელი ადვოკატები კი მაშინვე მიხვდნენ! შეიკრიბნენ და ერთად, მეგობრულათ მიჰყვეს ხელი საქებ ხელობას. „რადგანაც, სთქვა ერთმა, მე განათლებული ვარ და „ზაკონისკანონები“ თავში კეც-კეცა მიწყვია, ამისათვის ჰაზრს გიზიარებთო და შენ კი, მიუბრუნდა მეორეს, თუმცა თავის მაგივრათ მხრებზე გოგრა გადგამსო, მაგრამ ბედს მოუცია შენთვის კარგი „პოჩერკი“ და ამისთვის შენ ჩემ სეკრეტრათ იქნებიო,— თქვენ კი, მიუბრუნდა ორ დანარჩენ მეგობრებს, არც თავი გვარგათ და არც ხელები, მაგრამ ფეხები მაგარი გაქვსთ და სიცრუვე თქვენისთანა უნდაო: ირბინეთ აქა-იქ, სუდის ახლო-მახლო ქუჩებში და მოგვიყვანეთ კლიენტებიო.“

თვითონ ხონელებმა, რასაკვირველია, წინვე იცოდნენ რა შვილებიც იყვნენ ეს ვაჟბატონები და ან რა მიზანი ჰქონდათ მათ და ამისთვის მართალი უნდა ვსთქვა, კარგის თვალით არ შეხედეს ამათ. მაგრამ გარეშე სოფლის გლეხები ფუთკარივით ესეოდნენ ზემოხსენებულ ადვოკატებს და თითქმის ყოველ დღე ნახავდით რომელიმე დუქნის ოთახში ამათ სხდომას.

ამ ორი, არა დასამშვიდებელი ამბავის გარდა, კიდევ მაქვს ერთი, მაგრამ „დასამშვიდებელი“ მაინცა და მაინც არც ისაა. მე მოგახსენებთ ქალების უფასო შკოლაზე. შენობა მშვენიერი აგეს, სრული, ლამაზი, ერთი სიტყვით, როგორიც საჭიროა და ზამთრისთვის, იმედია, სწავლაც გაიხსნება შიგ, მაგრამ.... მაგრამ... მინდოდა მეთქვა, რომ „არა დასამშვიდებელი მხარე მასში მდგომარეობს—მეთქი, რომ თავი საქმე, ესე იგი სწავლის რიგიანათ წაყვანა დავიწყდათ, მაგრამ არ ვიტყვი, რადგანაც ვიცი ზოგიერთს არ მოეწონება. მაინც ამბობდა ერთი ქალბატონი: „დროება“, რადგანაც მე შემეხო, უსაფუძვლო გაზეთიაო და ამისთვის მე, უ. რედაქტორო, არ მინდა წაუხდინო რეპუტიცია თქვენს გაზეთს!..

N

# რუსეთი

ახალი ამბავი, რომელსაც, თუ მართალი გამოდგა, უეჭველია, ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება:

მმართებლობას მიუღია მხედველობაში, რომ ახლანდელი სოფლის სასამართლოების მოხელეები თითქმის ყველგან უკანონოთ და უსინიდისოთ ასრულებენ თავიანთ თანამდებობასაო და ამისგამო შემდეგი საშუალებით უნდათ ამგვარი წესების მოსპობა: 1) უნდა შეადგინონ და გაავრცელონ ყოველ სოფელში ინსტრუქცია, რომელშიაც გარკვეული იქნება სოფლის მოხელეების უფლება და მოვალეობა; 2) ეს ინსტრუქცია ყველა სასოფლო შკოლის შაგირდებს უნდა ასწავლონ და 3) სოფლის მოხელეების ზედამხედველად დაინიშნება ცალკე ჩინოვნიკები, რომელნიც ვალდებულნი იქნებიან, რომ თვეში ერთხელ დაიარონ და დახედონ სოფლის კანცელარიები და შეიტყონ მამასახლისებისა და მოსამართლების მოქმედება.

*
* *

მმართებლობას ნებართვა მიუცია იმ ქალების საზოგადოებისთვის, რომელიც ჰერცოგოვინელებისათვის ფულებს აგროვებს, რომ ყველა რკინის გზებზე და ვაგონებში ამ აჯანყებულების სასარგებლოთ, ფულები მოაგროვოს.

*
* *

სენატორი კლუშინი გაგზავნილი იყო პეტერბურღიდამ იმ არეულობის მიზეზის გამოსაკვლეველად, რომელიც მოახდინეს ამას წინათ ვალუისა და ბირუჩევის უეზდებში. სენატორი ამ დღეებში დაბრუნებულა პეტერბურღს და იმის გამოკვლევიდამ გამოდისო, რომ ეს არეულობა იქაური მებატონეების ბრალი არისო და ყველაზე უფრო აზნაურობის წინამძღოლის სტრუევსი, რომელნიც ავიწროებდნენ გლეხებსო. სენატორის განკარგულებით უფ. სტრუვე დაუტუსაღებიათ. გლეხები კი ამჟამად სრულიად დამშვიდებულან.

*
* *

ირკუტსკის საპატიო მოქალაქეს — კრუპენნიკოვს თავის საკუთარი სახლი და 30.000 მანეთი შეუწირავს ამ ქალაქისთვის იმ პირობით, რომ ამ ფულებით ღარიბებისა და მოხუცებულებისათვის თავშესაფარი სახლი გამართონ.

# უცხო ქვეყნები

**ჰერცოგოვინის არეულობა.** ამ თვის 11-ს აჯანყებულების მოთავე კაცებს ერთს მონასტერში კრება ჰქონიათ და, როგორც ამბობენ, ყველას ერთ-ხმად გადაუწყვეტიათ, რომ, სანამ სრულებით არ გავთავისუფლდებით ოსმალოს დამოკიდებულებისაგან, მანამ არ უნდა დავმშვიდდეთო.

უცხო ქვეყნის გაზეთების კორრესპონდენტები, რომელთაც კი აჯანყებულებთან და იმათ სარდლებთან ულაპარაკნიათ, ასე ამბობენ, რომ ეს საზოგადო ჰაზრი არის იმათიო, რომ არ მოისვენებენ, სანამ თავიანთ წადილს არ აასრულებენო და ეს წადილი ამჟამად იმაში მდგომარეობსო, რომ ჰერცოგოვინა ჩერნაგორიას შეუერთდესო და ბოსნია კი სერბიასაო, და ოსმალოსთან მხოლოთ ის დამოკიდებულება ჰქონდეთ, რომ წელიწადში გადაჭრილი ხარჯი აძლიონო.

— ერთს ლონდონის გაზეთში დაბეჭდილია მასტარიდამ მიღებული დეპეშა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ 18 ღვინობისთვეს ელჩების კამისიას გადაუწყვეტია, რომ ოსმალო ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყების დამშვიდებას ვერ შეიძ-

ლებს, თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო არ დაეხმარაო.

— თუ რამდენად შეიძლება რომ ოსმალოს დაპირებასა და სიტყვას დაენდოს კაცი, შემდეგი შემთხვევა გვიმტკიცებს: სოფ. პონოვის მცხოვრებლებმა, რომელთაც გამოუცხადეს თურმე, რომ თუ თოფ-იარაღს დაყრით და შინ დაბრუნდებით, ხელს არ გახლებთო, დიჯერეს და მართლა დაბრუნდნენ სოფელში. მაგრამ მისვლის უმალვე იმათ დაესივნენ თათრის სალდათები და რამდენიმე კაცი რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს, იქვე ამოსწყვიტეს.

—

**სერბია.** სკუპშჩინას სამი დღის განმავალობაში ზედი-ზედ ჰქონია სხდომები, რომელზედაც ულაპარაკნიათ იმაზე, რომ თათრის ჯარებს სერბიის სამზღვარი გაუტეხიათ. ხანგრძლივი და ცხარი მოლაპარაკების შემდეგ სკუპშჩინას 61 ხმის უმეტესობით (110 დეპუტატ'ში) გადაუწყვეტიათ, რომ ოსმალოს ომი გამოუცხადოთო.

მაგრამ სერბიის მთავარს ეს გადაწყვეტილება იმით გაუუქმებია, რომ თვითონ სკუპშჩინა დაუხურავს. ახლა გამოცხადებულია გაზეთებში მთავრის ბრძანება, რომ სკუპშჩინა ნოემბრის 30 ს ხელახლად შეიკრიბებაო.

—

**ჩერნოგორია.** ერთი უცხო ქვეყნელი გაზეთი გვაცნობებს, რომ რუსეთის მთავრობამ ჩერნოგორიის მთავარს 30,000 მანეთი გამოუგზავნა ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყებულების შესაწევნელადაო.

# ქრონიკა 50

## მეფე საურმაგი და მისი დრო

—

მირვანის სიკვდილის შემდეგ, საქართველოს ერისთავებმა კიდევ მოინდომეს ქართლოსიან ნებროთიანის გვარეულობის ჩამოგდება ტახტიდგან და განთავისუფლება ხელმწიფურის უფლებისაგან. ამ ჯერზე იმათ სრულებით სხვა რიგათ დაიწყეს მოქმედება. მირიანის შემდეგ 112 წელს გამეფდა იმისი შვილი ფარნაჯომი. იმან თავის საუბედუროდ დაიწყო ისრეთი სალოცავების შენება, რომლებიც წინად არ იყვნენ და არც ხალხმა იცოდა, და იწყო სხვა და სხვა ცვლილების მოხდენა და საქართველოს ციხე-ქალაქებით მაგრება. კახეთში ააშენა ქალაქი ნელქარისი, რ ო მ ე ლ ა რ ს ნ ე კ რ ე ს ი, რომლისაც ახლა ნანგრევების მეტი აღარა არის რა. აგრეთვე ჰსუროდა მოეხდინა რამე ცვლილება მოგვთა წოდებაში. ამის შემდეგ იმან ჯერ ააშენა ციხე ზადენი, მერმე შეჰქმნა კერპი ამავე ციხის სახელით, და რჯულის წესის უფრო წყობილებაში მოსაყვანად სპარსეთით გამოიწერი მოგვნი და დასხა ისინი მცხეთაში.

ქართლოსიან-ნებროთიანი გვარეულობის მოწინააღმდეგე ერისთავებმა ნახეს, რომ ფარნაჯომი მხნეობაში და ხალხის კეთილ-დღეობისათვის მზრუნველობაში წინანდელ მეფეებს ჰჯობია, იფიქრეს, რომ თუ არა ქიშპობით და ხერხით, იმისათვის ენება არ შეიძლება, დაიწყეს ხალხში გავრცელება ცუდი ხმებისა პირველად, რომ ფარნაჯომი მამაპაპის სარწმუნოებას ჰგმობს, მეორედ — რომ ის ფარნავაზის გვარის კაცი არ არის: ის სპარსელია, და არა ქართველი, და ამისათვის უნდა, რომ ქართული ყველაფერი მოშალოს და სპარსული შემოიღოს. გაუნათლებელმა ხალხმა დაუჯერა ერისთავებს და დააპირა ფარნაჯომის ტახტიდგან ჩამოგდება. მაშინ ერისთავებს გული მიეცათ, შეიყარნენ და აი რა მისწერეს სომხის მეფეს არშაკს: „მეფე ჩვენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩვენთასა, არღარა ჰმსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა: შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული: ან არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩვენად: მოგვეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა მეფეთა ჩვენთა; გვაშველე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩვენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩვენთა.“

არშაკუნიანებსაც ის უნდოდათ: ისინი თავის მხრითაც მეცადინეობდნენ საქართველოს ტახტის დაჭერას. ამ თხოვნით დაკმაყოფილებულ სომხეთის მეფემ მაშინვე მისცა თავის შვილს არშაკს ინვესტიტურა და სომხის ჯარებით გამოგზავნა საქართველოში. აქ ქართველებიც მიემატნენ სომხებს და აღიარეს არშაკი მეფედ. ფარნაჯომი გაიქცა პონტში თავის მონათესავე მიტრიდატ დიდთან. იმან გაიტანა საქართველოდგან ისრეთი სიმდიდრე, რომ ათის წლის განმავალობაში იმას ბერძნისა და პონტის ჯარები დაქირავებული ჰქონდა და ეომებოდა საქართველოს; ბოლოს დაიჭირა ტაშირი, უნდოდა შემოსვლა საქართველოში, — მაგრამ ერთს ბრძოლის დროს ის მოჰკლეს და საქართველო დარჩა არშაკს.

ასრე მოკვდა ეს მხნე და ხალხის კეთილ-დღეობისათვის მზრუნველი მეფე და მის სიკვდილით კიდევ შესწყდა ქართლოსიან-ნებროთიანების გვარეულობას მეფობა.

ინგილო ჯანაშვილი

# საბაასო

## პასუხი ინგილო ჯანაშვილისა

—

(დასასრული)

მე შევეხები მხოლოდ იმ თქვენ სიტყვებსა, რომელთაც ცოტაოდენი სული უდგია და რომლებითაც, თქვენის დაჯერებით, თქვენ მე მამტყუნებთ. მე გკითხავდით: „თუ სასწავლებლის საქმე ცუდათ მიდიოდა და მასწავლებელი კარგი არ იყო, რატომ მაშინვე არ გამოაცხადეთ, ვისთანაც საჭირო იყო? ამაში თქვენ იმართლებთ თავსა მითი, რომ თქვენ აფიციალური პირი არ იყავით, რომ ამის მოვალეობა არა გქონდათ, რომ მე სასწავლებლის დამხედავები მაქებდნენ, რადგან ძლიერ კარგათ ვასწავლიდი“... განა რომ ძლიერ კარგათ ვასწავლიდი და ამის-გამო თქვენ ამაზე ხმა არსად ამოგელებოდათ? განა რომ ცუდათ ვერა შენიშნეთრა ვერც ჩემში და ვერც სასწავლებლის საქმეში, თორემ, რაც უნდა დიდი ძელი ყოფილიყო, თქვენ იმის თავის შეხეთქება არ გაგიჭირდებოდათ? მაგრამ ვსთქვათ, რომ ეს ასრე იყო, როგორც თქვენ ამბობთ, თუმცა მოვალეობა კი გქონდათ მოგეხსენებინათ ყველაფერი სასწავლებლის თაობაზე იმ საზოგადოებისთვის, რომელიც თქვენ წელიწადში 600 მანეთს გაძლევდათ და თქვენი მოძმეების გასანათლებლად ფულსა ხარჯამდა; მაშ რატომ მაშინვე გაზეთში მაინც არ გამოაცხადეთ, როგორც ეხლა? თუ მაშინ წერა ჯერ არ იცოდით? ან რატომ მე თვითონ პირად დარიგება არ მომეცით, თუ როგორ უნდა მესწავლებინა? აქამდისინ სად გეძინათ? რას ფიქრობდით? ზაქათალის ოლქის მთავარი, უფ. შოლკოვნიკოვი იყო დიდათ დავალებული ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან, რომ იმას ჰქონოდა დაუძინებელი ზედამხედველობა კახის სასწავლებელზე. უფ. შოლკოვნიკოვი ყოველთვის ღ რსეულად ხდიდა თავის განათლებულ ყურადღებისას კახის სასწავლებელსა და მიდიოდა ამის სანახავად წელიწადში ორჯერ-სამჯერ და შემწეობას აძლევდა თავისის მხრით სასწავლებელსა. აბა ერთი, თუ გბედავთ, ამ კაცსა ჰკითხეთ, როგორ ვასწავლიდი, როგორ მიმყავდა სასწავლებლის საქმე და როგორ იცოდნენ ჩემმა მოსწავლეებმა წერა-კითხვა და სხვა.

— „შვიდი წელიწადია კახის სასწავლებელი არსებობს და ჯერ სწავლის კურსი მოსწავლეებს არ შეუსრულებიათო, — იმისთვის რომ ადრინდელი მასწავლებელი ახალი მეთოდით და სასწავლებლის მთავრობის მოთხოვნილებისამებრ ასწავლიდაო და სასწავლებელში კი ქართული წიგნები არ არისო.“ ბრძანებთ უფ. ჯანაშვილო. მიკვირს, მე და ჩემმა ღმერთმა, მიკვირს, რომ ჰსჯით იმისთანა საგანზე, რომლიდგანაც თქვენ არაფერი არა გესმით რა; აგიხირებიათ ახალი მეთოდი, ახალი მეთოდი; იცით რა არის ახალი მეთოდი? საჭმელია თუ სასმელი? განა რომ არ იცით? მაშ რაღაზე ფანტავთ სიტყვებსა? არც თვლა გცოდნიათ, ჩემო კეთილო მეგობარო: კახის სასწავლებელი შვიდი წელიწადი არა არსებობს; მაგრამ ასრეც რომ იყოს, მაინც კიდევ მოსწავლეებს სწავლის კურსი არ შეუსრულებიათ. — რატომ? ამისი პასუხი ჩემს პირველ სტატიაში მონახეთ. მთავრობის მოთხოვნილებისამებრ ასწავლიდიო, მისაყვედურებთ, უფ. ჯანაშვილო. რა არის, რომ ისრე ვასწავლიდი? რამ შეგაშინათ? გარუსებისა ხომ არ გეშინიანთ? დაიმშვიდეთ გული, ტყუილია ეს თქვენი შიში: ჩვენ ჩვენსას არ დავკარგავთ; არამც თუ წახდება რამე მითი, რომ ჩვენ საქმე ისრე წავიყვანოთ, როგორც მთავრობას უნდა, არამედ დავისამსახურებთ მთავრობის მინდობილობასა და ამითი ისე ვისარგებლებთ, როგორც ჩვენი საჭიროება მოითხოვს, თორემ აი თქვენ, რომ ისრე არ ასრულებდით თქვენს თანამდებობასა ზაქათალის ოლქში, როგორც მოგეთხოვებოდათ, აკი კიდეც პანჩურ ამოსმული გამოგისტუმრეს იქიდგან. აბა ერთი მითხარით, რა ისარგებლეთ? რა სარგებლობა მოუტანეთ თქვენს თანამოძმეებს, ინგილოებს? მაშ, მითხარი ერთი, თუ ღმერთი გრწამსთ, ვისი მოთხოვნილებისამებრ უნდა მესწავლებინა? განა მისი მოთხოვნილებით ვის წინაშეც მე პასუხის-მგებელი ვიყავი? თქვენ მიერ არაფერი მოთხოვნილება არა მქონდა, რომ ისა მქონოდა სახეში. აბა ერთი, ამნაირი თქვენი საყვედურები, [illegible] არ არის, მაშ რა ჯანაბაა? მაგრამ თქვენ, როგორც გატყობთ, სხვა რამეზე მემდურით; თქვენ მემდურით: რატომ მე ოთხის წლის განმავალობაში მთელი საინგილო არ გავანათლე, რატომ ყირამალა არ მოვაბრუნე იმათი ადრინდელი ყოფა-ცხოვრება, ტვინი და სხ.; რატომ ყველა ინგილოებმა არ იციან ქართული წერა-კითხვა. არ იქმნებოდა, ჩემო სულო და გულო, ამას უნდა დროება, დროება, დროება და დროება. გესმით თუ არა! ინგილოებმა ქართული ლაპარაკიც არ იციან, მაგრამ ვისი ბრალია? მოვა დრო, ისწავლიან. —

მერწმუნეთ უფ. ჯანაშვილო, რომ ამითი გავათავებდი თქვენთან ამ საგანზე საუბარსა; მაგრამ თქვენი სტატიის მეორე ნახევარშიაც არის ორიოდე ცილის-წამება თქვენ მიერ მოყვანილი ჩემზე და მსურს, რომ ბარემ ისიც ჩავაფუჩჩო. მე ვამბობდი: „მართალია, დავდიოდი ბეგებთან სანადიროთ.... მხოლოდ მაშინ, როდესაც სასწავლებლის საქმე არ აღსრულდებოდა და მე თავისუფალი დრო მქონდა.“ ამაზე თქვენ მიგებთ პასუხად, რომ შეშას არ გაძლევდნენო და ამისათვის სასწავლებლის საქმე არ აგისრულდებოდაო, და შენ სასეირნოდ დასდიოდიო. მოდი და ნუ გაიცინებ! აბა ერთი მ თხ რი, თქვენს მზესა, სადაური ლოღიკა გაქვსთ? რად ცდილობთ, რომ ასატუროვს დაემსგავსოთ ლოღიკის ხმარებაში? რად იკატუნებთ თავსა, ვითომც არ გესმით ჩემი ნათქვამი? მაშ არ იცით, როდის აქვს მასწავლებელს სწავლისაგან თავისუფალი დრო? ესეც მე უნდა გითხრად და გელაპარაკოთ ამაზე?

ჩემს პირველ სტატიაში მე მომყავდა ნამდვილი და ბეჯითი მიზეზები, რომლებითაც გიმტკიცებდით, თუ რად დაანებეს ჰსწავლას თავი ოთხმა თუ ხუთმა მოსწავლეებმა, რომლებზედაც თქვენ ამბობთ, რომ იმათ სწავლის კურსი შეუსრულებიათ და წერა-კითხვა კი არ იციანო.“ თუმცა ჩემი მოყვანილი მიზეზები ყმაწვილების სასწავლებლიდგან გამოსვლისა წმინდა მართალია და თუმცა ეს თქვენც გულში გჯერათ, მაგრამ მეტის მეტი თქვენი ჭეშმარიტების მოყვარეობა ნებას არ გაძლევსთ, რომ სიტყვიერათაც მართალი გამოსთქვათ და ამბობთ, რომ შინ არას ასწავლიდიო და ამისთვის ჩემმა ბიძაშვილმა და სხვა ყმაწვილებმაც მისთვის დაანებეს სწავლას თავიო და დამამტკიცებელ ფაქტად, თქვენის ფიქრით, მოგყავსთ ლიკის ბეგების ყმაწვილები, რომელნიც ჩემს კახში მასწავლებლობის დროს ჩემთან სწავლობდნენ და ეხლა აღარ სწავლობენ. ეჰ, გამჭრიახო უფ. ჯანაშვილო! ჩემგან ძალიან გწყენიათ, რომ მე ინგილოებს ტყაპუჭიანობა ვკადრე; მაგრამ თქვენც კი კარგათ ამკობთ იმ თქვენს ინგილოებსა.

იცით, რას ბრძანებთ ინგილოებზე? ნუ გეშინიანთ, აი ამის მეტი თქვენის სიტყვიდგან არა გამოდის-რა: თქვენ ამტკიცებთ, რომ ინგილოები იმისთანა უტვინოები, ბრიყვები და ბედხეირები არიანო, რომ შვიდი წელიწადია იმათი შვილები სასწავლებელში დადიანო და იმათ კი არ იციან, მოაქვს რაიმე სარგებლობა მათი შვილების სასწავლებელში სიარულსა, თუ არაო; მასწავლებელი ასწავლის მათ რასმე, თუ არაო. აბა რად ამცირებთ ინგი-

ლოების კაცობრიულს ღირსებასა? რისთვის ლანძღავთ მათ? მაგრამ თქვენ, იმედი მაქვს, ეს არ გინდოდათ სათქმელად; რას მოიფიქრებდით, თუ ამ თქვენ მიერ მოყვანილ ფაქტებს ამნაირი შედეგი ექმნებოდათ მაშინ, როდესაც თქვენ იმათ ხელს უწყვდიდით, რომ დაგხმარებოდნენ თავის გამართლებაში. ვეფიცები ბელზეველს, უფ. ჯანაშვილო, რომ რაც უნდა უკმაყოფილოდ ვყოფილვიყავ ინგილოებზე, შვილიც რომ მოეკლათ მათ ჩემთვისა, მაშინაც არ დავსაჯავდი ინგილოებს ისრე უდიერად, როგორც თქვენ გააუპატიურეთ ისინი თქვენი ზემო მოყვანილი სიტყვებით.

ინგილოები ბევრში პატივ-საცემი ხალხია, თუმცა საჩივრები კი ძალიან მიაჩნიათ, — დავიწყოთ, გნებავსთ, თქვენიდგან. მაგრამ ჯერ ამას თავი დავანებოთ.— იქნება ჩვენ შემდეგში მოვეიხდეს ამ საგანზე მუსაიფი, როგორც მპირდებით.

რაც შეეხება ლეკის ბეგების ყმაწვილებსა, გეტყვით, რომ თქვენ მხოლოდ ის გაგიგონიათ, რომ „ალია მომკვდარაო“, სხვა არაფერი. ამაზედაც დაწვრილებით შევატყობინებდით, როგორ იყო საქმე, მაგრამ მამიტევეთ, მომწყინდა თქვენთან საუბარი; თქვენ გნებავსთ ყველაფერი ჩემგან შეიტყოთ, ასრე არ იქნება. გამოითხოვეთ ზაქათალის ოლქის სამმართველოდგან ამ საქმის თაობაზე მიწერ-მოწერა და იქიდგან შეიტყობთ, როგორც ყოფილა საქმე.— მაგრამ ნუ გიხარიანთ, რომ იმ მიწერ-მოწერაში ჩემი ნაწერი ნახოთ; თორემ მაშინათვე გამოვცხადებთ, რომ მე საჩივრებში ვატარებდი დროს.

მკითხველო! თქვენ თუ გსიამოვნებათ ჩემი ლაპარაკი ლეკის ბეგების შვილების კახის სასწავლებელში სწავლის თაობაზე, ინებეთ, მოგახსენებთ, მხოლოდ მოკლეთ. ბეგებსა აქვსთ ორს ალაგას საცხოვრებელი სახლ-კარი. ზაფხულში სოფ. ელისოში, მთაში (კახიდგან ელისომდინ 7 ვერსტია), და ზამთარში მიმართავენ მდ. ალაზნის ბარსა (აქედგან კახამდინ სულ ცოტა 20—27 ვერს). აქედგან წარმოიდგინეთ, რამდენად შესაძლებელი იქმნებოდა ბეგების შვილების კახის სასწავლებელში სწავლა! მაგრამ აი, როგორ მოხდა, რომ ბეგების შვილები ჩემთანა სწავლობდნენ: როდესაც კახში სასწავლებლის შენობას აკეთებდნენ, ბეგებმა იფიქრეს, თვითონ მიაწყდნენ ამ ფიქრსა, თუ სხვამ უთხრა, არ ვიცი, რომ კახში პანსიონი კეთდებაო, იმათ ისურვეს, რომ იმ სასწავლებელში (პანსიონში) მონაწილეობა ჰქონოდათ. ამნაირი თავიანთი სურვილი გამოუცხადეს ადგილობრივ მთავრობასა; არ ვიცი რა პასუხი მიიღეს, მაგრამ თითქმის ერთის წლის შემდეგ ჩემი კახში მასწავლებლად ყოფნისა, იმათ მოიყვანეს კახში შვილები, ჩააბარეს თავიანთ ნაცნობებსა, რომ იმათ შეენახათ და იმათგან შკოლაში ევლოთ; დაიჭირეს მოლლა წელიწადში 120 მანეთ., მეც ამ ფასად მთხოვეს თავიანთი შვილების სწავლება, რადგანაც მე მოვალე არ ვიყავი, რომ იმათთვინ მესწავლებინა. გავიდა ოთხი თვე, მოლლას ფული არ მისცეს, გავიდა რვა თვე, მოლლას ყური არ უგდეს; წლის თავზე მოლლა გაიქცა; სხვა ალარავინ დგებოდა იმის ალაგას. მეც ის მომცეს, რაც მოლლასა. არ ვიცი, მოლლამ მიიღო რამე თუ არა, მაგრამ მე კი ეხლაც ველი; ერთი წლის შემდეგ ბეგებმა ფული ველარ შეკრიბეს: ერთმანეთში რაღაც უსიამოვნობა მოუხდათ; იმათი კახში ნაცნობები მათ შვილებს რიგიანად ვერ ინახავდნენ, ყმაწვილები მალ-მალ ავად ხდებოდნენ და ამისათვის შვილებს თავი დაანებებინეს სწავლისათვისა. ზოგმა მათგანმა ზაქათალის ოლქის სასწავლებლის პანსიონში მიაღებინეს შვილები, ერთმა კი თფილისში გიმნაზიის პირველს კლასში მიაღებინა თავისი ყმაწვილი. ასრე და ამნაირად იყო, ჩემო ბატონო, ლეკის ბეგების ყმაწვილების კახში სწავლის საქმე.

კიდევ ორი სიტყვა უფ. ჯანაშვილო; თქვენ მთხოვთ გამოგზავნოთ იმისთანა ყმაწვილების წერილები, რომელთაც წელიწად-ნახევარი უსწავლიათ. ჩემდა საუბედუროდ (თქვენს გასახარებლად) ჯერ არ მიმიღია იმისთანა მოსწავლეებისაგან მე წერილი; ვგონებ ეხლაც შეიძლება იმათგან წერილის მიღება, მაგრამ უფრო უმჯობესი იქმნება, რომ თქვენ თვითონვე სთხოვოთ მათ თქვენთანავე წერილის მოწერა, რადგან, როგორც მახსოვს, რომ ერთი მათგანი თქვენ რაღასაც გენათესავებათ. იმედი მაქვს, რომ ის ყმაწვილები იმდენათ სვინიდიანი არიან, რომ თქვენის თხოვნის დაკმაყოფილებაზედ უარს არ იქმონენ.

დასასრულ ამისა მაქვს პატივი მოგახსენოთ, იცით რა? რას შეგეშინდათ? შროგოს არას გკადრებთ, ურიგობა მე სხვისაც მეჯავრება; მოგახსენებთ, რომ მე სრულიად გავათავე თქვენთან ამ საგანზე ლაპარაკი. ამის შემდეგ მოსდექით და სულ მტვერი აადინეთ კახის სასწავლებელსა. მშვიდობით და კარგად ყოფნით!

ადრინდელი კახის მასწავლებელი
ი. ტატიევი

ქ. ნახიჩევანი, 20 ღვინობისთვეს

# ნარევი

ღვინობისთვის 12-ს ბერლინში აკურთხეს ძეგლი ერთი გამოჩენილი სახელმწიფო კაცის — შტეინისა, რომელიც პრუსიის მინისტრად იყო ამ საუკუნის დასაწყისში და რომლის თაოსნობით განთავისუფლებულნი იყვნენ პრუსიაში გლეხები. ეს ის შტეინი იყო, რომელმანც ისეთი სახელმწიფო წყობილობა დაადგინა პრუსიაში, რომლის წყალობითაც ეს სახელმწიფო ასე საშინლად და ასე მსწრაფლად გაძლიერდა.

* * *

იტალიაში მოგზაურობის დროს იტალიის ტახტის მემკვიდრეს ჰუმბერტმა გერმანიის იმპერატორი სანადიროთ დაჰპატიჟა. თუ რა ბლომათ მოურეკიათ ნადირები სანადირო ტყეში — შემდეგი ნანადირევის რიცხვიდამ შეიტყობთ: რამდენიმე მინუტის განმავლობაში მონადირეებმა მოჰკლეს: 400 ხოხობი, 100-ზე მეტი კურდღელი და რამდენიმე ათი სხვა ნადირი. მარტო გერმანიის იმპერატორმა, რომელსაც იტალიის კოროლი პირველ სროლას უთმობდა, მოჰკლა თურმე: 30 ხოხობი, ერთი ჯიხვი და ორი კურდღელი, რომელიც ბერლინში გაუგზავნა თავის მეუღლეს — ავგუსტას.

# სავაჭრო

△ კავკასიის სამხედრო მაზრის რჩევის გადაწყვეტილებით, მომავალ ნოემბრის თვის 19-ს იქნება უკანასკნელი ვაჭრობა (დაბეჭდილი განცხადებებით) თფილისის, სტავროპოლის და პეტროვსკის საინტენდანტო მაღაზიებიდამ და აგრეთვე ვლადიკავკასიდამ თფილისში და პეტროვსკში და ასტრახნიდამ სტავროპოლში და საზოგადოთ ერთი ალაგიდამ მეორეში გადატანაზე ინტენდანტის ნივთებისა და წამლებისა — 1876 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1878 წლის 1 იანვრამდე.

ზირაოთ, ფასის დაგვარად, წარდგენილი უნდა იქნეს 20% გადასატანი ნივთების ფასისა, შემდეგის ანგარიშით: თფილისისათვის — 4,912 მანეთის გირაო, სტავროპოლისათვის — 7,480 მანეთისა, პეტროვსკისათვის — 4,684 მან. და ასტრახნიდამ სტავროპოლში გადასატანი ნივთებისათვის — 150 მანეთი.

△ კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟენერის გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აშენება დეშლაგარში (დაღესტანში) პოლკისათვის ლაზარეთის აშენება, რომლისათვის 29,274 მანეთია დანიშნული.

ვაჭრობა იქნება თფილისში, საინჟენერო სამმართველოში, 7 ნოემბერს ამ წლისას.

△ იგივე ინჟენერის გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აშენება ბაქოში ბათალიონის ფლიგელთან ფეხის ალაგის აშენება, რომლისთვისაც ხაზინისაგან 8,740 მანეთია დანიშნული.

ვაჭრობა იქნება თფილისში, საინჟენერო გამგეობაში, ამ წლის 6 ნოემბერს.

# განცხადებანი

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი ტელიაჩუსი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: გრაბოვსკი — ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჩუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

## ქართული წიგნების მაღაზია

აცნობებს, რომ დღეის შემდეგ ყოველივე წერილი და მოთხოვნილება გამოგზავნონ არსენ კალანდაძის სახელზე და არა ეპიფანესი, რომელიც გარდაიცვალა. ყველასა ვთხოვთ ამას ყურადღება მიაქციონ, რომ ფოსტიდამ ფულის ანუ წერილის მიღება არ გაგვიძნელდეს და მოთხოვნილების ასრულება არ დაგვიანდეს.

| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ოთხშაბათს, დილით.
ოდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

## ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

## ფოსტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

## ბირჟა

| პეტერბურგი, 23 ღვინობ. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $32^1/_{32}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $338^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 224 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 221 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 88 | 24 |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 180 | — |
| ფოთი-თფილ რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

## მაზანდა

| თფილისი, 25 ღვინობ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 5 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | — | — |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 80 |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 15 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 5 | 88 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Октября 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.